საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-692

19/07/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს ,,კავკას პლასტის'' პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 10.3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. თბილისში, შპს ,,კავკას პლასტის'' პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N67 (05.07.2019წ.) (ქ. თბილისი, ტყიბულის ქ. № 1ა);
2. შპს ,,კავკას პლასტმა'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N67 (05.07.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,კავკას პლასტს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,კავკას პლასტის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნაძალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი